

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის

ოქმი №18

ქ.ვანი. თავისუფლების ქ. N 65

25.11. 2020 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ივანიაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: გიორგი ივანიაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგობერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ჩიკვაძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე. (დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: ალექსანდრე ლილუაშვილი, რამაზ არველაძე, გელა ვარდოსანიძე, კობა ძაგნიძე, გელა ღვიტიძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგობე.**

მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-**ივანე მამფორია.**

სხდომა 14⁰⁰-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ და წარმოადგინა 2020 წლის 25 ნოემბრის ბიუროს სხდომის

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის განხილვის თაობაზე.

მომხს: ივანე მამფორია

2. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში შოთა რუსთაველის ქ. N2-ში მდებარე 16 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.30.934) სარგებლობის უფლებით გადაცემისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს: გიგა გოგობერიძე

3. „ვანის მუნიციპალიტეტში 2020-2021 წლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 ნოემბრის N27 49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: გიგა გოგობერიძე

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა 2020 წლის 25 ნოემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ აღნიშნა, რომ ფინანსთა სამინისტროდან N04-03/123529, 05/10/2020 წერილით ვანის მუნიციპალიტეტს ეცნობა 2021 წლის ბიუჯეტში დამატებითი ღირებულების გადასახადიდან და ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლების პროგნოზი , რაც ნომინალურ გამოხატულებაში შეადგენს 6164,1 ათას ლარს (მათ შორის: დღგ 0,58%, 5864,1 ათასი ლარი: ქონების გადასახადი 300,0 ლარი)

2020 წლის პროგნოზთან შედარებით დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსულობები შემცირებულია 536,1 ათასი ლარით. ასევე შემცირებულია მუნიციპალიტეტის კოეფიციენტი 0,63%-იდან 0,58 %-მდე.

მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებიდან მისაღები შემოსულობების 2020 წლის პროგნოზი 554,8 ათასი ლარია, დღემდე მიღებულია 215,2 ათასი ლარი. 2021 წელს მოსალოდნელია დაახლოებით 250,0 ათასი ლარის მობილიზება. ჯამურად 2021 წელს მისაღები შემოსულობების პროგნოზი შეადგენს 6559,0 ლარს.

მომხსენებლის გამოსვლის შემდეგ საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ აღნიშნა, რომ 2020 წლის ბიუჯეტი განხილულია ყველა კომისიების და ფრაქციების მიერ და წარმოდგენილია შემდეგი შენიშვნები.

1. ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით არ არის გათვალისწინებული თანხები საგზაო ინფრასტრუქტურის, სანიაღვრე და ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამაში. საჭიროა გამოინახოს თანხები აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად;

2. სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისათვის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 9 ათასი ლარი წლის განმავლობაში, რაც ჩვენი აზრით არასაკმარისია. სასურველია გაიზარდოს დაფინანსება 20 ათას ლარამდე და მუნიციპალიტეტში გაიმართოს სპორტული პირველობები ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ სპორტის სახეობებში; ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ნინო ხურციძის სახელობის საჭადრაკო პირველობის ჩასატარებელი თანხები 2021 წლის სექტემბერში (5000 ლარი);

3. ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას თანხები წარმატებული სპორტსმენებისა და მეცნიერების წასახალისებლად;

4. ქალაქ ვანის ქუჩების და ზოგიერთ სოფელში ფირნიშების დასამზადებლად გათვალისწინებულ იქნას 15 ათასი ლარი;

5. ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას თანხები „ვანის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ კრებულ „მატიანეს“ დასაფინანსებლად;

2020 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით სიტყვა ითხოვა დეპუტატმა ტარიელ ბარამიძემ: „კარგი იქნება თუ გავითვალისწინებთ და სხდომათა დარბაზისთვის შევიძენთ მიკროფონს და კომპიუტერს“

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2020 წლის 25 ნოემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ გიგა გოგობერიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში შოთა რუსთაველის ქ. N2-ში მდებარე 16 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.30.934) სარგებლობის უფლებით გადაცემისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ მომხსენებელმა განმარტა, რომ განკარგულების პროექტის მიხედვით მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერს ქ. ვანში, შოთა რუსთაველის ქ. N 2-ში მდებარე 16 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.30.934) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, აღნიშნული მიწის ნაკვეთის სარგებლობის ფორმად განისაზღვროს იჯარა, სარგებლობის ვადად-2 წელი, წლიური საიჯარო ქირის ღირებულებად -360 (სამას სამოცი) ლარი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2020 წლის 25 ნოემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა-გიგა გოგობერიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში 2020-2021 წლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 ნოემბრის N27 49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

განკარგულების პროექტის მიხედვით ცვლილება განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული განკარგულების დანართს დაემატა 2020-2021 წლებში რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები:

1. ბზვანის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ქვედა ბზვანში ე.წ. ჭალის უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. პროექტის დასაფინანსებელი თანხა შეადგენს 628879 ლარს.

2. სულორის ადმინისტრაციულ ერთეულში სახნავას, მახარეიშვილების და ტიპტიპების უბნებში გზების რეაბილიტაცია;

პროექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 534859 ლარს;

3. დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია; პროექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 150 000 ლარს.

4. მუქედის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის მშენებლობა;

პროექტის დასაფინანსებელი თანხა შეადგენს 213 600 ლარს.

აღნიშნული პროექტების განხორციელების მიზნით რეგიონში განსახორციელებული პროექტების ფონდიდან ჯამში გამოყოფილია 1527338 ლარი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მესამე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2020 წლის 25 ნოემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

ამით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე